ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7257390

ნომერი: AR11059488

თარიღი : 27.09.2024

გაცემის თარიღი : 21.10.2024

გაცნობის თარიღი : 22.10.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზაჰესის დასახლება, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა, N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე გოგიჩაიშვილი პ/ნ 01008026100
- ჭავჭავაძის #75

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 27 სექტემბერს №AR11059488 განცხადებით მომართა სალომე გოგიჩაიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 26 სექტემბრის №7230907 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 აპრილის №5913734 ბრძანებით შეთანხმდა №72.12.02.281 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ღვინის ქარხნის 07/1 შენობის რეკონსტრუქციისა და ახალი მშენებლობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 27 აპრილიდან 2024 წლის 27 აპრილის ჩათვლით. ამავე ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტში მიეთითა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 21 აპრილის №MIA02201066071 წერილის გათვალისწინებით აღნიშნულ სამსახურში შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის საკითხი და პროექტი სამი თვის ვადაში წარდგენილი უნდა იქნეს განსახილველად.
სამსახურის 2024 წლის 26 სექტემბრის №7230907 ბრძანებით შეთანხმდა №72.12.02.281 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ღვინის ქარხნის 07/1 შენობის რეკონსტრუქციისა და ახალი მშენებლობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 26 სექტემბრიდან 2026 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით. ამავე ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტში მიეთითა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 21 აპრილის №MIA02201066071 წერილის გათვალისწინებით აღნიშნულ სამსახურში შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის საკითხი და პროექტი სამი თვის ვადაში წარდგენილი იქნეს განსახილველად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 26 სექტემბრის №7230907 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში მე-8 პუნქტი (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 21 აპრილის №MIA02201066071 წერილის გათვალისწინებით აღნიშნულ სამსახურში შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის საკითხი და პროექტი სამი თვის ვადაში წარდგენილი იქნეს განსახილველად) არ უნდა იყოს მითითებული და შესაბამისად, ითხოვს ბრძანებიდან აღნიშნული ჩანაწერის ამოღებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2024 წლის 13 თებერვლის №AR11008835 განცხადებით მოთხოვნილ იქნა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. სამსახურმა, იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა. ამასთან, სამსახურის 2024 წლის 26 სექტემბრის №7230907 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტში მითითებულ იქნა ჩანაწერი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის საკითხის და პროექტის წარდგენასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამსახური განმარტავს, რომ მე-8 პუნქტში მითითებული ჩანაწერი წარმოადგენს სანებართვო პირობას და სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის მიზნით, კვლავ დაფიქსირდა სამსახურის 2024 წლის 26 სექტემბრის №7230907 ბრძანებაში. ამასთან, გაცნობებთ, რომ სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლი წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის კომპეტენციას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ არსებობს სამსახურის 2024 წლის 26 სექტემბრის №7230907 ბრძანებაში ცვლილების შეტანის საფუძველი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 26 სექტემბრის №7230907 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.